



ar

de

en

es

fa

ka

prs

ps

ru

აცრა გიცავთ!

ინფორმაცია კორონა-ვირუსის საწინააღმდეგო აცრის შესახებ

I. რატომ უნდა აიცრათ?

ვაქცინაცია საიმედოდ გიცავთ დაავადების მძიმე მიმდინარეობისგან, მათ შორის სასიკვდილო გართულებებისგან. აცრა ორჯერადია, გამონაკლისია ფირმა Johnson & Johnson -ის ვაქცინა. მისი არჩევის შემთხვევაში, საკმარისია მხოლოდ ერთჯერადი აცრა. დაცვის სრული მექანიზმი მოქმედებას იწყებს მეორე აცრიდან 14 დღის შემდეგ. ის პირები, რომლებიც სრულყოფილად ჩაიტარებენ ვაქცინაციას, ბევრად უფრო თავისუფლები არიან თავიანთ ყოველდღიურ ქმედებაში, ასევე სხვა ადამიანებთან კონტაქტის თვალსაზრისითაც. ვაქცინაცია ამცირებს სხვების დაინფიცირების საფრთხეს.

II. ვის შეუძლია აიცრას?

14 წელზე უფროსი ასაკის ნებისმიერი მსურველისთვის აცრის პროცედურა ხელმისაწვდომია. ამისათვის მათ უნდა მიმართონ ვაქცინაციის ცენტრს. 14 დან 17 წლამდე ასაკის მოზარდებს ვაქცინაციის დროს თან უნდა ახლდეს ერთ-ერთი მშობელი. ორსულ ქალებს შეუძლიათ აიცრან BioNTech/Pfizer-ის ვაქცინით ორსულობის ვადის მე-15 კვირიდან 24-ე კვირის განმავლობაში.

III. სად შეგიძლიათ აცრის პროცედურის ჩატარება?

გსურთ კორონა-ვირუსისგან დამცავი ვაქცინაციის ჩატარება? მაშინ, გთხოვთ, მიმართოთ ვაქცინაციის ცენტრს.

**ვაქცინაციის ცენტრი მესე დრეზდენი (Messe Dresden)
მესსერინგის ქ. 6, 01067 დრეზდენი, ფრიდრიხშტადტი
(Messering 6, 01067 Dresden, Friedrichstadt)**

ვაქცინაციის ცენტრში მისასვლელად დაგჭირდებათ ტრამვაის ხაზი N10 (გაჩერების სახელია: Messe).

ვაქცინაციის ცენტრში მისვლა შესაძლებელია ყოველდღე შაბათ-კვირის ჩათვლით 8-დან 18 საათამდე **წინასწარი ჩაწერის გარეშე**. ადგილზე ლოდინის თავიდან აცილების სურვილის შემთხვევაში, შეგიძლიათ წინასწარ დაჯავშნოთ ვაქცინაციის ჩატარების თარიღი და დრო. ამისათვის გამოიყენეთ ვიზიტის ინტერნეტით დაჯავშნის შემდეგი ონლაინ-გვერდი: sachsen.impfterminvergabe.de ან დარეკეთ ცხელ ხაზზე: (08 00) 0 89 90 89.

IV. რა საბუთები უნდა გქონდეთ თან ვაქცინაციაზე მისვლისას?

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი
- ჯანმრთელობის დაზღვევის ბარათი (თუ გაქვთ)
- აცრის ბარათი („ყვითელი აცრის წიგნაკი“, თუ გაქვთ)

- შევსებული და ხელმოწერილი საინფორმაციო ფურცელი
- შევსებული და ხელმოწერილი ავადმყოფობის ისტორიის ანკეტა
- სამედიცინო პირბადე

საინფორმაციო ფურცელი და ავადმყოფობის ისტორიის ანკეტა შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ინტერნეტ-გვერდიდან და ამოზექლოთ. ორივე მათგანს სხვადასხვა ენებზე იპოვით შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

- www.rki.de/DE/Content/Infekt/Impfen/Materialien/COVID-19-Aufklaerungsbogen-Tab.html (BioNTech-ის და Moderna-სთვის)
- www.rki.de/DE/Content/Infekt/Impfen/Materialien/COVID-19-Vektorimpfstoff-Tab.html (AstraZeneca-სთვის)

გთხოვთ, ორივე ანკეტა ვაქცინაციის ცენტრში მისვლამდე შეავსოთ.

ექიმი ანკეტებზე დაყრდნობით უპასუხებს თქვენს შეკითხვებს და გაგიწევთ კონსულტირებას ვაქცინაციამდე.

აცრა გაგიკეთდებათ მკლავის ზედა ნაწილში. აცრის გაკეთებიდან 15 წუთის განმავლობაში თქვენ უნდა დარჩეთ ადგილზე, ვინაიდან, თქვენმა ორგანიზმმა შესაძლოა, ვაქცინის მიმართ გამოავლინოს რეაქცია.

მნიშვნელოვანია: თქვენ დაგჭირდებათ **ორჯერადი აცრა**. აცრებს შორის ინტერვალი უნდა მოიცავდეს სამიდან ოთხ კვირამდე პერიოდს (BioNTech-ის და Moderna-ს შემთხვევაში), ხოლო AstraZeneca-ს შემთხვევაში, თორმეტ კვირამდე პერიოდს (სამი თვე). ინფორმაციას ადგილზე მოგაწვდით თქვენი ექიმი. აუცილებელია დაიცვათ ორივე აცრის ვადა!

V. კიდევ რისი ცოდნაა აუცილებელი?

ვაქცინაცია უფასოა.

ყველანაირი ვაქცინის შემადგენელი ნივთიერება დატესტილი და ხმარებაში გასვლამდე საკმარისად გამოცდილია.

ვაქცინების შემადგენლობა არ შეიცავს ცხოველურ პროდუქტს. აცრის ჩატარების უფლება აქვს ნებისმიერი რელიგიური აღმსარებლობის პირს.

ვაქცინაციას შესაძლოა ჰქონდეს გვერდითი მოვლენები და ეს ნორმალურია. რეაქცია ნიშნავს, რომ ვაქცინა, მუშაობს. ზოგადად, ვაქცინაციიდან ორი დღის განმავლობაში შესაძლებელია, თავი იჩინოს გვერდითმა მოვლენებმა. ეს ნიშნავს, რომ თქვენი ორგანიზმი და იმუნური სისტემა რეაგირებს აცრაზე.

შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს შემდეგ მოვლენებს:

- ტკივილი ინექციის ადგილზე
- მოთენთილობა
- თავის ტკივილი
- კუნთებისა და სახსრების ტკივივილი და შემცივნება

აღნიშნული გვერდითი მოვლენები რამდენიმე დღეში თავისით ალაგდება უფრო გაძლიერებული და გახანგრძლივებული გვერდითი მოვლენების შემთხვევაში, გთხოვთ, მიმართოთ თქვენი ოჯახის ექიმს ან საერთაშორისო სამედიცინო კლინიკას ფიედლერშტრასეს (Fiedlerstraße) 25 (დრეზდენის საუნივერსიტეტო კლინიკა, შენობა 28), ტელეფონი: (03 51) 42 64 32 97.

კორონა-ვირუსთან დაკავშირებული სხვა კითხვების შემთხვევაში ან ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ:

ჯანმრთელობისა და პრევენციის სამსახური

ცხელი ხაზი: (03 51) 4 88 53 22

E-Mail: gesundheitsamt-corona@dresden.de

www.dresden.de/corona